გარემოსდაცვითი მდგრადობის პოლიტიკა

ევროპის უნივერსიტეტი

2021 წელი

1. უნივერსიტეტის შესახებ

ევროპის უნივერსიტეტი მზარდი და განვითარებაზე ორიენტირებული კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც 2012 წლიდან ახორციელებს საქმიანობას.

სწავლა-სწავლებასთან ერთად უნივერსიტეტი ორიენტირებულია კვლევით საქმიანობის მხარდაჭერაზე. ამ მიზნით ევროპის უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ოთხი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი: სამართლის კვლევითი-სამეცნიერო ინსტიტუტი, გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი, მედიცინის კვლევითი ინსტიტუტი და აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი.

უნივერსიტეტს მდგრადი განვითარებისა და სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპები დეკლარირებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში.

2. დოკუმენტის აღწერა და მიზანი

ევროპის უნივერსიტეტი, როგორც მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მოხარულია ჩაერთოს მდგრადი განვითარების საერთო მიზნების მიღწევის პროცესში. ამისთვის, უნივერსიტეტი გამოთქვამს მზადყოფნას ჩადოს ძალისხმევა და იტვირთოს სოციალური, გარემოსდაცვითი და ფინანსური პასუხისმგებლობები.

პოლიტიკის დოკუმენტი ადასტურებს უნივერსიტეტის მიერ აღებულ პასუხისმგებლობებს და განსაზღვრავს ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებებს გარემოსდაცვითი მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვისა და აღსრულებისთვის როგორც ორგანიზაციის მიერ გაწეულ საქმიანობაში, ასევე პერსონალისა და სრულიად საუნივერსიტეტო საზოგადოების მაღალი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

მდგრადი განვითარების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისთვის, უნივერსიტეტის აქტივობები მოიცავს რამდენიმე მიმართულებას. დაგეგმილი აქტივობების მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ერთხელ, აკადემიური წლის ბოლოს და უზრუნველყოფს გაწეული სამუშაოების შეფასებას და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას.

3. გავრცელების არეალი

პოლიტიკის დოკუმენტის მოქმედების სფერო ვრცელდება სრულიად საუნივერსიტეტო საზოგადოებაზე. მათ შორის აკადემიურ, მოწვეულ, ადმინისტრაციულ პერსონალსა და სტუდენტებზე.

პოლიტიკის გავრცელების არეალი მოიცავს როგორც სწავლა-სწავლებასა და კვლევას, ასევე სხვა ნებისმიერი ტიპის აქტივობასა და საქმიანობას.

4. პოლიტიკის პრინციპები

4.1 უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის მენეჯმენტი

- არსებული და დაგეგმილი შენობა-ნაგებობების ენერგოეფექტური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა;
- არსებული ინფრასტრუქტურის განახლება ენერგოეფექტურობის პრინციპების დაცვით;
- უნივერსიტეტის ტერიტორიის გამწვანება.

4.2 ნარჩენების გადამუშავება

- უნივერსიტეტის საქმიანობით გამოწვეული ნარჩენების შემცირება;
- ბიოდეგრადირებადი ნივთებისა და მასალების გამოყენება, ნარჩენების დახარისხება და გადამუშავების უზრუნველყოფა.

4.3 ავტოპარკის განახლება

- ავტოპარკის განახლება ეკომეგობრული და განახლებად ენერგიებზე მომუშავე ავტომობილებით.

4.4 განათლება

- გარემოსდაცვითი და მდგრადი განვითარების შესახებ ინფორმაციის გაზიარება, საუნივერსიტეტო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი საგანმანათლებლო კურსების კურიკულუმში ინტეგრირება.

4.5 საერთაშორისო ასოციაციებში გაწევრიანება

- გაწევრიანება საერთაშორისო ასოციაციებში, რომელთა მიზანია გარემოსდაცვით მდგრადი განვითარების მიზნებზე მუშაობა.